

# იუსტიციის უმაღლესი სკოლა

განხორციელებული  
რეფორმის ანგარიში

2013 – 2016

# იუსტიციის უმაღლესი სკოლა

განხორციელებული რეფორმის ანგარიში

2013 – 2016 წლები

2017 წელი

## სარჩევი

### ნინასიტყვაობა

ისტორია	4
სკოლის მართვის ორგანოები	5
სტრუქტურული ცვლილებები	5
სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა	6
	7

### ხარისხის სწავლების უზრუნველყოფა

სამოსამართლო კანდიდატების მომზადება	8
სტაჟირების პროცესის დახვენა	8
სემინარული მუშაობის პროცესის დახვენა	9
სამოსამართლო კანდიდატების სასწავლო ვიზიტები საზღვარგარეთ	10
სამოსამართლო კანდიდატების საგამოცდო პროცესის სრულყოფა	11
სამოსამართლო კანდიდატების სწავლების ხანგრძლივობა	12
საანგარიშო პერიოდში ჩარიცხულ და კურსდამთავრებულ მსმენელთა მაჩვენებელი	13
მოქმედ მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა პროფესიული ტრენინგები	14
ვებპორტალის გამოყენება სასწავლო პროცესში	15
სასწავლო პროგრამის კურიკულუმების დახვენის მექანიზმის შემუშავება	17
ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგიის დანერგვა	18
სასამართლოს მოხელეთა სპეციალური სასწავლო კურსი	19
საჯარო ლექციები	20
სასწავლო აქტივობების სისტემატიზირებული სტატისტიკის ბაზა	21

### ორგანიზაციული განვითარება

ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება	22
ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამა	23
საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება	24
თანამშრომლობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან	24
ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდა	29
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერა	30
ინფრასტრუქტურის განვითარება	31

### შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება

სამომავლო გაგებები/პრიორიტეტული მიმართულებები	36
---	----

38

## ნინასიტყვაობა



ძვირფასო მკითხველო,

უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა ერთადერთი ინსტიტუციაა, რომელიც ექსკლუზიურად უზრუნველყოფს სამოსამართლო კანდიდატების, სასამართლო მოხელეობის მსურველთა მომზადებას და მოქმედი მოსამართლეების, ისევე როგორც სასამართლო სისტემის სხვა თანამშრომელთა, პროფესიულ განვითარებას.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მუდმივად ვითარდება, რაც აუცილებელია, სასამართლო სისტემის და შესაბამისად მართლმსაჯულების სფეროს შემდგომი გაჯანსაღებისთვის.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია 2013-2016 წლების მანძილზე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში გატარებული ღონისძიებები და ცვლილებები, ასევე დანერგილი სტანდარტები და სასწავლო აქტივობები. საანგარიშო პერიოდი შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს ინსტიტუციური ჩამოყალიბების პროცესში მიღწეული პროგრესი იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრუქტურული განვითარების ქრილში, ასევე ის ხელშესახები პოზიტიური შედეგები, რაც მიღწეულ იქნა ზოგადად სასამართლო სისტემისათვის. ეს უკანასკნელი პერსპექტივა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იუსტიციის უმაღლესი სკოლის უპირველესი მისია და სამართლებრივი მანდატი სწორედ ქართული მართლმსაჯულების მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით უზრუნველყოფის ხელშეწყობაა.

რეფორმა წლების მანძილზე სხვადასხვა მოცულობისა და ფორმატის არაერთი ღონისძიებისაგან შედგება, მათ შორისაა, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების და შიდაინსტიტუციური სამართლებრივი აქტების მომზადება, სტრატეგიული განვითარების მიმართულებით ჩატარებული სამუშაო, არაერთი კვლევა, ექსპერტთა ანალიზი და სასწავლო ვიზიტი. თითოეული მათგანი განსხვავებული წონისა და სირთულის, თუმცა ერთნაირად მნიშვნელოვანი და ღირებული ნაბიჯი იყო საბოლოო მიზნისკენ მიმავალ გზაზე – შეგვექმნა მდგრადი და ეფექტური სამოსამართლო სწავლების სკოლა საქართველოში.

ყველა ზემოხსენებულმა მოქმედებამ ერთობლიობაში ხელი შეუწყო სასამართლო სისტემაში ხარისხიანი განათლების მიწოდებას. დაინერგა ერთგვაროვანი, სტანდარტიზებული და ამავე დროს მოქნილი სწავლების პრაქტიკა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია წამყვან ევროპულ გამოცდილებასთან. ამ მიმართებით, სხვა ერთგულ პარტნიორ ორგანიზაციებს შორის, სპეციალური აღნიშვნის ღირსია ევროპის საბჭოს არაერთი წარმატებული პროექტი, რომელიც ხშირად არსებით დასაყრდენს წარმოადგენდა რეფორმის პროცესში იუსტიციის უმაღლესი სკოლისთვის მის წინაშე მდგარი გამოწვევების გადასალახად. მსურს, მაღლობა გადავუხადო ყველა პარტნიორ ორგანიზაციას გამოჩენილი მხარდაჭერისა და განათლებაში ჩადებული მნიშვნელოვანი ინვესტიციისათვის.

ანგარიშის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა უშუალოდ ხარისხიანი სწავლების უზრუნველ-

ყოფას, როგორც სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განხორციელებულ სისტემურ რეფორმას. მკითხველი შეძლებს, დეტალური ინფორმაცია მიიღოს სასწავლო ციკლის შემადგენლობასა და მუშაობის მეთოდოლოგიაზე. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ისეთ მნიშვნელოვან ამოცანებზე, როგორიცაა სამოსამართლო კანდიდატების მომზადება, მოქმედი მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების გადამზადების პროცესი, ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების და შესაბამისად, მისი ინსტიტუციური გაძლიერება.

და ბოლოს, წარმოდგენილი ანგარიში იუსტიციის უმაღლესი სკოლის გუნდის წარმატებული თანამშრომლობის და ეფექტური მუშაობის თვალსაჩინო მაგალითია, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო მათ და ასევე, ამ ანგარიშში მოხსენიებულ ყველა იმ პირს, ხელისუფლების ორგანოსა თუ საერთაშორისო/პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, მათ შორის ქართველ და უცხოელ ექსპერტებს, რომლებიც მხარდაჭერას უცხადებდნენ იუსტიციის უმაღლეს სკოლას წარმატების მიღწევაში.

**ლაშა მაღრაძე – დირექტორი  
სსიპ – იუსტიციის უმაღლესი სკოლა**

## ისტორია

იუსტიციის უმაღლესი სკოლა დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი სტრუქტურა, ორგანიზაციული მოწყობა და საქმიანობა რეგულირდება „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებით.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დაარსების მთავარი მიზანი იყო მოსამართლეების დანიშვნის ახალი, დამსახურებაზე დაფუძნებული სისტემის შექმნა და მოქმედი მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომლების პროფესიული ტრენინგების ინსტიტუციონალიზაცია. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დაარსება განხორციელდა ევროპის საბჭოს ინიციატივითა და მხარდაჭერით, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა საქართველოში მართლმსაჯულების სფეროს მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისათვის ძლიერი ევროპული მოდელის შექმნას.

დაარსების დღიდან დღემდე განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ ძლიერ ინსტიტუციად ჩამოყალიბება, რომლის მისიაც მართლმსაჯულების სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია 2013-2016 წლებში სსიპ „იუსტიციის უმაღლეს სკოლაში“ განხორციელებული რეფორმის შესახებ ინფორმაცია.

## სკოლის მართვის ორგანოები

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მართვის ორგანოებია: **დამოუკიდებელი საბჭო და დირექცია.**

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო განსაზღვრავს სკოლის ძირითად მიმართულებებს და ახორციელებს სკოლის საქმიანობაზე ზედამხედველობას, ხოლო იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექცია პასუხისმგებელია სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაზე. დირექცია უზრუნველყოფს დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას, სასწავლო, სტაჟირების და გადამზადების პროგრამების დაეგმვასა და განხორციელებას. ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობებს.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მეტი დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წელს შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი;
2. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია;
3. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ერთ-ერთი წევრია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი.

სწორედ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებზე დაყრდნობით, 2013 წლის ივლისიდან განხორციელდა სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლის“ დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირება.

## სტრუქტურული ცვლილებები

2013 წლის სექტემბრიდან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში განხორციელდა მენეჯმენტის ცვლილება. ახალი მენეჯმენტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციური გაძლიერება, საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და უწყების მართვის პროცესში საერთაშორისოდ აპრობირებული, თანამედროვე მეთოდების დანერგვა/გამოყენება.

აღნიშნული მიდგომის მისაღწევად კომპლექსური ცვლილებები განხორციელდა სხვადასხვა მიმართულებით. ცვლილებებმა, თავის მხრივ, სკოლის მენეჯმენტს ხელი შეუწყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლის პროცესში.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის სისტემურობის უზრუნველყოფისა და სკოლის მიერ განხორციელებული ფუნქციების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 2013 წელს შეიქმნა სკოლის ახალი სტრუქტურა. ჩამოყალიბდა 3 სტრუქტურული ქვედანაყოფი და მათ შორის ფუნქციები მკაფიოდ გადანაწილდა. 2013 წელს შექმნილ სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენდნენ: ადმინისტრაცია, საერთო განყოფილება და საფინანსო-სამეურნეო განყოფილება. წლების განმავლობაში სკოლაში მიმდინარე რეფორმის პარალელურად, საჭირო გახდა არსებული სტრუქტურული ერთეულების გამსხვილება და მათი საქმიანობის სფეროების კიდევ უფრო გაფართოება.


იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების შესაბამისად, ამჟამად უწყების სტრუქტურული ერთეულებია:

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
2. სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
3. ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი.

**ადმინისტრაციული დეპარტამენტი – უზრუნველყოფს სკოლის სასწავლო პროგრამების დაგემვა-განხორციელებას; ანალიტიკური საქმიანობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის წარმართვას; საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგული მიმართულების და სკოლის ბიბლიოთეკის ფონდის მართვას; სკოლის ვებგვერდისა და ვებპორტალის ადმინისტრირებას;**

**სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი – ახორციელებს სკოლის სამართლებრივ უზრუნველყოფას; ადამიანური რესურსების კომპონენტის მართვას; სკოლის საქმისწარმოებას; სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს საქმიანობის სამართლებრივ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას;**

**ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი – უზრუნველყოფს საფინანსო-საბიუჯეტო პროცესების დაგემვასა და განხორციელებას; სამეურნეო კომპონენტის დაგემვა-განხორციელებას; სკოლის ქონების მოვლა-პატრონობას; შესყიდვების განხორციელებას და მატერიალურ უზრუნველყოფას; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვას.**



## სტრატეგიული განვითარების ღორუენთი და სამკამაღო გეგმა

2014 წლიდან დღემდე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობები ეყრდნობა სტრატეგიული განვითარების გეგმას (2014-2018 წწ.), რომელიც უწყების მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს. სტრატეგიული გეგმა შემუშავდა ევროპის საბჭოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის – „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების განვითარების“ ფარგლებში, ასევე ევროპის საბჭოს ექსპერტების ჩართულობით.

დოკუმენტის შემუშავებას წინ უძლოდა ევროპელ და ქართველ ექსპერტთა გუნდის მიერ ჩატარებული საჭიროებების ყოვლისმომცველი ანალიზი, რომლის მიზანი იყო სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, უწყების განვითარების მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება.

სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმით განისაზღვრა შემდეგი სამი მიზანი:

1. სკოლაში ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა;
2. სკოლის ორგანიზაციული განვითარება;
3. სკოლის შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება (საჯაროობა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა).

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებით იუსტიციის უმაღლესი სკოლა გადავიდა განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე, რადგან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით აქტივო-

ბების განხორციელება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სკოლის შესაძლებლობების გაძლიერებასა და მართლმსაჯულების ხარისხის ზრდას. დოკუმენტი სასამართლო სისტემის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს პრეზენტაციის სახით 2014 წლის 15 ოქტომბერს წარედგინათ. იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სტრატეგიის რეკომენდაციები განთავსებულია უწყების ვებგვერდზე და საჯაროა.

## სტრატეგიული მიზანი 1. ხარისხის სრულყოფის უზრუნველყოფა

### სამოსამართლო კანდიდატების მომზადება

#### სრულყოფის შეფასების მექანიზმის დახერგვა

რეფორმის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ შემუშავდა და დაინერგა იუსტიციის მსმენელების (სამოსამართლო კანდიდატების) **სრულყოფის შეფასების მექანიზმი**. მომზადების პროგრამის ყველა ეტაპი დაექვემდებარა სრულყოფის შეფასების პროცესს. **მექანიზმი ითვალისწინებს როგორც თეორიული კურსის, ასევე სავალდებულო სტაჟირებისა და სემინარული მუშაობის ეტაპების ხარისხის კონტროლს**. მეთოდოლოგიურად მექანიზმში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მხარეებთან როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის ჩატარება და მიღებული ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზი. აღნიშნული მიღებომა მნიშვნელოვანია იმით, რომ მისი საშუალებით, სკოლას შესაძლებლობა აქვს, მიღებული შედეგისა და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მომავალში კიდევ უფრო დახვეწოს მსმენელებისათვის შეთავაზებული სასწავლო პროგრამა.

#### მომზადების პროგრამის 5-თვიანი თეორიული კურსის განახლება

იუსტიციის მსმენელთა მომზადების პროგრამა სრულად დაექვემდებარა სრულყოფის შეფასების მექანიზმს. მიღებული შედეგების სიღრმისეულ ანალიზზე დაყრდნობით, ინტენსიური მუშაობა განხორციელდა სამოსამართლო კანდიდატთა მომზადების პროგრამის 5-თვიანი თეორიული სრულყოფის ეტაპის განახლების მიმართ განვითარების მიმართულებით. მუშაობა განხორციელდა როგორც შინაარსობრივ ნაწილზე, ასევე პროგრამის შიგნით სამართლის სფეროთა ლოგიკური თანამიმდევრობის კუთხით. თვალსაჩინოებისთვის უნდა გამოვყოთ შემდეგი ცვლილებები:

- მთლიანად შეიცვალა კურსის შიგნით სამართლის სფეროებისა და საგნების თანამიმდევრობა;
- გამსხვილდა საკონსტიტუციო სამართლის შიგნით არსებული საგნები, მათ შორის სასწავლო საგნად დაემატა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (პრეცედენტები)“;
- მოცულობითი გახდა „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სამართლის“ მიმართულება. სიღრმისეული ყურადღება ეთმობა ისეთ საგნებს, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები“ და „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR) პრეცედენტული სამართლი“;
- კურსში ინტეგრირდა კურიკულუმები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: „მოსამართლის ეთიკა და პროფესიული ქცევის სტანდარტები“; „სასამართლო პროცესზე კომუნიკაცია და სხდომის წარმართვის ტექნიკა“; „მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით“; „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა“; „სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტური გამართულობა“;
- კურსის ფარგლებში ისწავლება ისეთი საგნები, როგორიცაა „მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები“; „წარმატების მიღწევის უნარები“;

- სამართლის სფეროების მიხედვით, სიღრმისეულად ისწავლება საქმეთა წარმოება სამივე ინსტანციის სასამართლოში;
- თითოეული სამართლის სფეროს სწავლების პოლოს დაემატა შემაჯამებელი დისკუსიები, სადაც საკითხების იდენტიფიცირებას იუსტიციის უმაღლესი სკოლა თავად სამოსამართლო კანდიდატებთან ელექტრონული გამოკითხვის შედეგად ახდენს.

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უზრუნველყო, სამოსამართლო კანდიდატთა მომზადების პროგრამის ფარგლებში არსებულ თითოეულ საგანზე მასწავლებელთა მიერ შესაბამისი დეტალური სილაბუსების მომზადება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ დანერგა სამოსამართლო კანდიდატების ინტენსიური მომზადება ინგლისურ ენაში. სწავლება მოიცავს კვირაში სამ დღეს. ინგლისური ენის შემსრულებლი გაკვეთილები ხორციელდება დამატებითი სასწავლო აქტივობის სახით. აღნიშნული მიდგომა მართლმსაჯულების სისტემას უზრუნველყოფს უცხო ენის მაღალ დონეზე მცოდნე მოსამართლებით.

2014 წელს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, „სკოლა უზრუნველყოფს იუსტიციის მსმენელებს შესაბამისი სასწავლო მასალით და ლიტერატურით“. იუსტიციის მსმენელთა მე-11, მე-12 და მე-13 ჯგუფის წევრებს ბეჭდური სასწავლო მასალა და ლიტერატურა გადაეცათ საკუთრებაში.

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის არსებული სასწავლო ვადის ფარგლებში, მაქსიმალურად უზრუნველყო ყველა იმ რეკომენდაციის გათვალისწინება, რომელიც ანალიზის შედეგად გამოიკვეთა როგორც სამოსამართლო კანდიდატების, ასევე მასწავლებელთა საბჭოს წევრების და მათ შორის ევროპის საბჭოს ექსპერტების მხრიდან.

## სტაჟირების პროცესის დახვენა

### სტაჟირების გავლის ერთიანი სტანდარტის შემუშავება

იუსტიციის მსმენელებთან და სტაჟირების კოორდინატორებთან (მენტორ მოსამართლეებთან) ჩატარებული სწავლების ხარისხის შეფასების შედეგად, მიღებულ იქნა სტაჟირების ეტაპის გაუმჯობესების რეკომენდაციები და განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.

იუსტიციის მსმენელთა 10-თვიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში, **4-თვიანი სავალდებულო სტაჟირების პერიოდი ახლებური მიდგომით გადანაწილდა.** იუსტიციის მსმენელს პირველი ორი თვე სტაჟირების გავლა უნევს სამართლის იმ სფეროებში, რომელიც მის მიერ შერჩეულ სპეციალიზაციის არ განეკუთვნება, ხოლო ბოლო 2 თვე მთლიანად ეთმობა სტაჟირებას სამართლის იმ სფეროში, რომელიც მისი სპეციალიზაციის სფეროს წარმოადგენს.

დამატებით სტაჟირების პროცესში, ევროპული სტანდარტის დანერგვისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, 2015 წლის 31 მაის-6 ივნისს, განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებისა და 12 მენტორი მოსამართლის ვიზიტი ქ. ბრემენში.

ზემოაღნიშნული პროცესების შემდგომ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშავა სტაჟირების კოორდინატორთა სახელმძღვანელო დოკუმენტი (**სტაჟირების სტანდარტი**). დოკუმენტი დამტკიცდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ და პრაქტიკაში განხორციელდა იუსტიციის მსმენელთა მე-12 ჯგუფის მენტორი მოსამართლეების მეშვეობით.

სტაჟირების სტანდარტი უზრუნველყოფს სტაჟირების პროცესში მენტორი მოსამართლეების მიერ ერთიანი მიდგომის დანერგვასა და შედეგზე ორიენტირებული პროცესის წარმართვას.

## სტაჟირების პროცესი შეფასების პრიტერიულების გამოყენება

სტაჟირების პროცესის სისტემურობისა და ეფექტურობის შეფასების მიზნით კომპლექსური მუშაობა განხორციელდა სამი მიმართულებით:

1. შემუშავდა და დაინერგა იუსტიციის მსმენელთა **სავალდებულო სტაჟირების ინდივიდუალური რეკომენდაციის ფორმა**. სავალდებულო სტაჟირების რეკომენდაციის ფორმის მიზანია სტაჟირების პროცესის სტანდარტიზაცია და შაბლონური მიღების თავიდან აცილება. რეკომენდაციის ფორმა მოიცავს შემდეგ ძირითად ინფორმაციას: სავალდებულო სტაჟირებისას იუსტიციის მსმენელის მიერ შესრულებული სამუშაოების აღწერა; იუსტიციის მსმენელის მიერ სტაჟირებისას გამოვლენილი თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენება; გამოვლენილი პიროვნული თვისებები და პროფესიული უნარ-ჩვევები;
2. შემუშავდა და დაინერგა **სამოსამართლო კანდიდატების მიერ მენტორი მოსამართლეების შეფასების კრიტერიუმები**, რომელიც მსმენელთა სტაჟირების პროცესის ხარისხის მონიტორინგის დამატებითი ბერკეტია. მენტორი მოსამართლეები ფასდებიან მიცემული დავალებების შინაარსისა და სისმირის, უკუკავშირების დროულად და სრულყოფილად განხორციელების, კომუნიკაციის ხარისხის და გადმოცემის უნარის მიხედვით;
3. შეიცვალა და გაუმჯობესდა სავალდებულო სტაჟირებისას იუსტიციის მსმენელთა ქულობრივი შეფასების სისტემა. **2-დონიანი ქულობრივი სისტემის ნაცვლად შემოღებული იქნა 5-დონიანი შეფასების სისტემა**. აღნიშნული სისტემა აქტიურად გამოიყენება იუსტიციის მსმენელების მიმართ.

## სტაჟირების კოორდინატორთა შესარჩევი პრიტერიულების

### განახლება და შერჩევის პროცესის დაცვა

რეფორმის ფარგლებში ინტენსიური მუშაობა განხორციელდა სტაჟირების კოორდინატორთა შესარჩევი კრიტერიუმების დახვენის კუთხით. პროცესში ობიექტურობისა და გამჭვირვალობის ხარისხის ზრდის მიზნით, ცვლილებები შევიდა სკოლის წესდებაში და დაკონკრეტდა სტაჟირების კოორდინატორთა შერჩევის წესი და კრიტერიუმები.

კერძოდ, ცვლილებების მიხედვით, სტაჟირების ხელმძღვანელი სტაჟირების კოორდინატორის კანდიდატებს შეარჩევს იმ ორგანოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით, სადაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი სტაჟირება. ასევე დაკონკრეტდა ის კრიტერიუმები, რომლებიც, როგორც წესი, უნდა იქნას გათვალისწინებული სტაჟირების კოორდინატორების შერჩევისას. ეს კრიტერიუმებია:

- ა) კანდიდატის მიერ, შესაბამის თანამდებობაზე, უფლებამოსილების განხორციელების ხანგრძლივობა;
- ბ) სტაჟირების კოორდინატორობის გამოცდილება;
- გ) სტაჟირების პერიოდში სტაჟირების კოორდინატორის ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობა;
- დ) კანდიდატის სურვილი, შეასრულოს სტაჟირების კოორდინატორის ფუნქცია.

ამასთან, აღნიშნული ცვლილებების თანახმად, სტაჟირების კოორდინატორების შერჩევისას, შესაძლებელია, იუსტიციის მსმენელთა გამოკითხვის საფუძველზე მიღებული სტაჟირების კოორდინატორთა შეფასების შედეგების გათვალისწინება.

## სემინარული მუშაობის პროცესის დაცვა

### სემინარული მუშაობის ერთიანი სტანდარტის შემუშავება

იუსტიციის მსმენელებთან და სემინარული მუშაობის ხელმძღვანელებთან ჩატარებული სწავ-

ლების ხარისხის შეფასების შედეგად, მიღებული იქნა რეკომენდაციები სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის ბოლო ეტაპის გასაუმჯობესებლად.

**შემუშავდა სემინარის ხელმძღვანელთა სახელმძღვანელო დოკუმენტი (სემინარული მუშაობის სტანდარტი).** აღნიშნული დოკუმენტი სემინარული მუშაობის მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს, უზრუნველყონ პროცესის წარმართვა ერთიან მიღგომებზე დაყრდნობით. დოკუმენტი დამტკიცდა სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ და გამოყენებული იქნა იუსტიციის მსმენელთა მე-12 ჯგუფის სემინარული მუშაობის ფარგლებში.

### სიმინდული მუშაობის პროცესის შეფასების პრიტორიუმები

სემინარული მუშაობის პროცესის სისტემურობისა და ეფექტურობის შეფასებისთვის, შემუშავდა და დაინერგა იუსტიციის მსმენელთა სემინარული მუშაობის აღნერის ფორმა, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ინფორმაციას: მსმენელის მიერ შესრულებული სამუშაოების აღწერა; იუსტიციის მსმენელის მიერ სემინარული მუშაობის დროს გამოვლენილი თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენება; გამოვლენილი პიროვნული თვისებები და პროფესიული უნარ-ჩვევები.

ასევე, შემუშავდა სამოსამართლო კანდიდატების მიერ სემინარული მუშაობის ხელმძღვანელების შეფასების კრიტერიუმები, რომელიც პროცესის ხარისხის მონიტორინგის დამატებითი ბერკეტია.

სემინარული მუშაობის ხელმძღვანელები ფასდებიან მიცემული დავალებების შინაარსისა და სიხშირის, უკუკავშირების დროულად და სრულყოფილად განხორციელების, კომუნიკაციის ხარისხის და გადმოცემის უნარის მიხედვით.

### სამოსამართლო კანდიდატების სასწავლო ვიზიტის საზღვარგარეთ

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის მსმენელთა მე-11, მე-12 და მე-13 ჯგუფის სასწავლო პროგრამის ფარგლებში, სამოსამართლო კანდიდატებისთვის განხორციელდა სასწავლო ვიზიტები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხოლო იუსტიციის მსმენელთა მე-11 და მე-12 ჯგუფისთვის საანგარიშო პერიოდში სასწავლო ვიზიტები ასევე შედგა საფრანგეთის რესპუბლიკაში.

პარტნიორ ორგანიზაციებთან შედეგზე ორიენტირებული მოლაპარაკებების შედეგად, ზემოაღნიშნული ვიზიტები, სამოსამართლო კანდიდატების მომზადების პროგრამის ფარგლებში სახით განხორციელდების სასწავლო ვიზიტების მიზანს წარმოადგენდა სამოსამართლო კანდიდატებისათვის პამბურგის მხარის სასამართლო სისტემის გაცნობა. ერთკვირიანი ინტენსიური სასწავლო ვიზიტების ფარგლებში სამოსამართლო კანდიდატებმა გამართეს შესვედრები პამბურგის უმაღლეს სამხარეო და პირველი ინსტანციის სასამართლოებში, პროცესურატურასა და ადვოკატურაში. მათ ასევე მოინახულეს წინა საპატიმრო დაწესებულება. ვიზიტის ფარგლებში სამოსამართლო კანდიდატები დაესწრენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების განხილვებს და პროფესიული დისკუსიის საშუალება მიეცათ საქმის განმხილველ მოსამართლებთან;

- 5-თვითი თეორიული კურსის ფარგლებში შედგა იუსტიციის მსმენელთა მე-11, მე-12 და მე-13 ჯგუფის წევრთა სასწავლო ვიზიტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ჰამბურგში. სამივე ჯგუფის ვიზიტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ იყო მხარდაჭერილი. ვიზიტების მიზანს წარმოადგენდა სამოსამართლო კანდიდატებისათვის პამბურგის მხარის სასამართლო სისტემის გაცნობა. ერთკვირიანი ინტენსიური სასწავლო ვიზიტების ფარგლებში სამოსამართლო კანდიდატებმა გამართეს შესვედრები პამბურგის უმაღლეს სამხარეო და პირველი ინსტანციის სასამართლოებში, პროცესურატურასა და ადვოკატურაში. მათ ასევე მოინახულეს წინა საპატიმრო დაწესებულება. ვიზიტის ფარგლებში სამოსამართლო კანდიდატები დაესწრენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების განხილვებს და პროფესიული დისკუსიის საშუალება მიეცათ შესაძლებლობა, შეხვედროდნენ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ევროპის

საბჭოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ქართველ მოსამართლეს, გაცნობოდნენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ არსებულ ბოლოდროინდელ პრეცედენტულ სამართალს. მათ ასევე ჰქონდათ უნიკალური შესაძლებლობა, დასწრებოდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ საქმის განხილვას. აღნიშნული ვიზიტები ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით განხორციელდა.

## სამოსამართლო კანდიდატების საგამოცდო პროცესის სრულყოფა

### მასწავლებელთა საპარტო

რეფორმის ფარგლებში ინტენსიური მუშაობა განხორციელდა მასწავლებელთა საბჭოს ფორმირებისა და მისი საქმიანობის პროცედურების დახვეწის კუთხით. კერძოდ, უწყების წესდებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად:

- შეიცვალა სკოლის მასწავლებელთა შერჩევის წესი. ახალი წესის შესაბამისად, სკოლის მასწავლებელთა შერჩევას ახდენს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო ნაცვლად სკოლის დირექტორისა;
- გაიწერა სკოლის მასწავლებელთა საბჭოს საქმიანობის პროცედურები.

### საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების საქმიანობის წესის დაცვა

რეფორმის ფარგლებში მუშაობის შედეგად ასევე დაიხვეწა:

- სამოსამართლო კანდიდატების საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების მუშაობისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის წესები;
- საპრეტენზიო განცხადებების წარდგენისა და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესები.

### დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება

დაიხვეწა სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ იუსტიციის მსმენელის შემაჯამებელი შეფასების სისტემა. კერძოდ, შემუშავდა დამოუკიდებელი საბჭოს მიერ იუსტიციის მსმენელის შეფასების სპეციალური, ინდივიდუალური ფორმა, რომელიც იძლევა დეტალურ ინფორმაციას იუსტიციის მსმენელის დისციპლინის, მის მიერ სწავლის პროცესში შესრულებული სამუშაოების, მისი პროფესიული უნარ-ჩვეულებისა (თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, გააზრების უნარი, გადმოცემის უნარი, გადაწყვეტილების მიღების უნარი) და პიროვნული თვისებების შესახებ, აგრეთვე დამოუკიდებელი საბჭოს შემაჯამებელ შეფასებას იუსტიციის მსმენელთან დაკავშირებით.

### სამოსამართლო კანდიდატებზე სერტიფიკაციების გაცემა

იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებაში განხორციელებული ცვლილების თანახმად მოწესრიგდა სამოსამართლო კანდიდატებზე სერტიფიკატების გაცემის საკითხი. კერძოდ, საკვალიფიკაციო სიაში შეყვანილ იუსტიციის მსმენელზე გაიცემა სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი, სადაც აღინიშნება, რომ მან გაიარა იუსტიციის მსმენელთა სრული სასწავლო კურსი და ირიცხება იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში. აღნიშნული მიღვომა, ასევე გამტკიცდა „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით.

აღსანიშნავია, რომ სერტიფიკატები გაიცა როგორც იუსტიციის მსმენელთა მე-11 და მე-12 კვალის წევრებზე, ასევე წესდების რეგულაციის შესაბამისად „იმ მსმენელზეც, რომელმაც იუს-

ტიციის მსმენელთა სრული სასწავლო კურსი გაიარა 2015 წლამდე და ირიცხება იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში“. ჯამში, ასეთი სერტიფიკატი დამზადდა და გაეგზავნა 84 კურსდამთავრებულს.



## სამოსამართლო კანდიდატების სწავლების ხანგრძლივობა

რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად განიხილებოდა იუსტიციის მსმენელთა სწავლების ვადის გაზრდა. საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი მომზადდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ და იგი ეხება სამოსამართლო სწავლების ვადის გაზრდას. კერძოდ, პროექტის თანახმად, კანონში არსებული სწავლების 10-თვიანი ვადა იზრდება 24 თვემდე, ხოლო განსაზღვრული კატეგორიის პირებისათვის არსებული 6-თვიანი სწავლების ვადა – 14 თვემდე.

აღნიშნული კანონპროექტი გადაეცავნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.

შემუშავებული ცვლილებების პროექტი განპირობებულია იუსტიციის მსმენელთა სწავლების გონივრული და უფრო ეფექტური ვადების შემოღების აუცილებლობით. სწავლების ვადის გაზრდა ხელს შეუწყობს მსმენელის, როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებას, ასევე პრაქტიკული მუშაობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

დღეს არსებული სწავლების ხანგრძლივობა არ იძლევა სასწავლო კომპონენტებში (თეორიული სწავლება, სტაჟირება, სემინარული მუშაობა) ვადების გონივრული გადანაწილების შესაძლებლობას ისე, რომ გავლენა არ მოახდინოს სწავლების რომელიმე ნაწილის ეფექტიანობაზე. კანონპროექტით შემოთავაზებული სწავლების გაზრდილი ვადა შესაძლებლობას იძლევა, სწავლების ვადის მნიშვნელოვანი ნაწილი წარიმართოს სტაჟირებისა და პრაქტიკული მეცადინეობების კომპონენტის გაძლიერების კუთხით. მსმენელის სტაჟირება წარმოადგენს სწავლების კურსის მნიშვნელოვან ნაწილს, შესაბამისად, სტაჟირების ვადის გაზრდა ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მსმენელის შემდგომი მუშაობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მსმენელის უფრო მეტ ინტეგრაციას იმ გარემოში, სადაც მას, როგორც მოსამართლეს, მომავალში მოუწევს მუშაობა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ შემუშავებული ინიციატივა ეყრდნობა ევროპის საბჭოს (CoE) რეკომენდაციებს და სამოსამართლო სწავლების შესახებ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას. მნიშვნელოვანია, რომ სწავლების ვადის გაზრდის აუცილებლობაზე მიუთითებენ იუსტიციის ის მსმენელები, რომლებმაც უკვე გაიარეს სწავლება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. იუსტიციის ყოფილ მსმენელებთან ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა სწავლების ვადის გაზრდის მიზანშეწონილობის რეკომენდაციას იძლევა.

სწავლების ხანგრძლივობის გაზრდის საკითხის აქტუალურობის წარმოჩენის მიზნით, 2015 წლის განმავლობაში მოხდა თემის გაშუქება მედიასაშუალებებით.

## სააგარიშო პარიოდში ჩარიცხულ და კურსდათავრეპულ მსახილეთა მაჩვენებელი

იუსტიციის მსმენელთა მე-10 ჯგუფში ჩაირიცხა 15 მსმენელი.

სწავლის პერიოდი: 2012 წლის ნოემბერი – 2013 წლის სექტემბერი.

- 6-თვიანი სწავლება გაიარა 3-მა მსმენელმა;

- 10-თვიანი სწავლება გაიარა 12-მა მსმენელმა;

**სწავლება წარმატებით დაასრულა 15-მა მსმენელმა.**

იუსტიციის მსმენელთა მე-11 ჯგუფში ჩაირიცხა 16 მსმენელი.

სწავლის პერიოდი: 2014 წლის მარტი – 2015 წლის იანვარი.

- 6-თვიანი სწავლება გაიარა 6-მა მსმენელმა;

- 10-თვიანი სწავლება გაიარა 8 მსმენელმა;

**სწავლება წარმატებით დაასრულა 14-მა მსმენელმა.**

იუსტიციის მსმენელთა მე-12 ჯგუფში ჩაირიცხა 12 მსმენელი.

სწავლის პერიოდი: 2015 წლის ივნისი – 2016 წლის აპრილი.

- 6-თვიანი სწავლება გაიარა 2-მა მსმენელმა;

- 10-თვიანი სწავლება გაიარა 9 მსმენელმა;

**სწავლება წარმატებით დაასრულა 11-მა მსმენელმა.**


იუსტიციის მსმენელთა მე-13 ჯგუფში ჩაირიცხა 20 მსმენელი.

სწავლის პერიოდი: 2016 წლის ნოემბერი – 2017 წლის სექტემბერი.

- 6-თვიან სწავლებას ექვემდებარება 6 მსმენელი;

- 10-თვიან სწავლებას ექვემდებარება 14 მსმენელი.

### იუსტიციის მსმენელთა მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 ჯგუფები



## მოქადა მოსამართლეთა და სასამართლოს მოხალის პროცესიული ტრანზიში

### სრავლების ხარისხის შეფასების მექანიზმის შემუშავება და შეფასების პროცესის უზრუნველყოფა

**რეფორმის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა სკოლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობების ხარისხის შეფასების ოთხსაფეხურიანი მექანიზმი. საერთაშორისოდ აღიარებული „კირკპატრიკის ოთხსაფეხურიანი მოდელი“ ითვალისწინებს სასწავლო ღონისძიების ოთხი საფეხურის გაზომვის საშუალებას: რეაქცია, სწავლება, ქცევა და შედეგი. მოდელის დამუშავებისა და ანალიზის შემდგომ, შეიქმნა სასწავლო ღონისძიების შეფასების ინსტრუმენტი. კითხვარი ოთხ შინაარსობრივ ნაწილად არის დაყოფილი და შესაძლებლობას იძლევა, მიღებული და გაანალიზებული იქნეს შემდეგი სახის ინფორმაცია: 1-ტრენინგის პროცესი; 2-ტრენერის შეფასება; 3-ტრენინგის ორგანიზაციული მხარე; 4-სამომავლო/სასურველი ტრენინგების თემები. კითხვარი ასევე შეიცავს კომენტარების ველებს, სადაც ღონისძიების მონაწილეებს დამატებითი მოსაზრებებისა და კომენტარების დატოვება შეუძლიათ.**

ტრენინგების შეფასების ოთხსაფეხურიანი თანამედროვე სისტემა სკოლას საშუალებას აძლევს, სრულად გაზომოს მის მიერ განხორციელებული სასწავლო ღონისძიებების ეფექტურობა და მიღებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოს სწავლების ხარისხის ეფექტურობაზე ზრუნვა.

ზემოაღნიშნული მოდელის დანერგვა ევროპის საბჭოს (CoE) ექსპერტების მიერ იყო რეკომენდირებული. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება ზემოაღნიშნული მოდელის გამოყენებით ფასდება.

### სრავლების საჭიროების გამოვლენისა და ანალიზის პროცესის დახვენა

სწავლების საჭიროების გამოვლენის მიზნით იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ დანერგა კომპლექსური მიდგომა. თემათა იდენტიფიცირება სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება და უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას. კერძოდ:

პროფესიული ტრენინგების ბოლოს, როგორც უკვე აღინიშნა, გამოყენებულია ხარისხის შეფასების მექანიზმი – „კირკპატრიკის ოთხსაფეხურიანი მოდელი“. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს მონაწილეთა მხრიდან ტრენინგსაჭიროებების გამოვლენის შესაძლებლობასა და პროცესის უწყვეტობას.

2015 წლის სექტემბერში სრულად ამოქმედდა სკოლის ვებპორტალი, რომელიც 2014 წელს შეიქმნა USAID/JILEP-ის მხარდაჭერით. ვებპორტალის შესაძლებლობებს შორის ერთ-ერთია მოსამართლეების/სასამართლო მოხელეების მიერ იმ თემების ელექტრონულ ფორმატში იდენტიფიცირება, რომლებშიც მათ ტრენინგის გავლა სჭირდებათ. აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან, ელექტრონულად – ვებპორტალის მეშვეობით ხორციელდება მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამისათვის თემების იდენტიფიცირება.

ასევე დაინერგა მექანიზმი, რომელიც გულისხმობს ტრენინგსაჭიროებების შეფასების მიზნით შემდეგი წყაროების კვლევასა და ანალიზს:

- სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები;
- უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედარებითი ანალიზი;
- განვითარებულ სახელმწიფოებში მოსამართლეთა სწავლების სფეროში არსებული სიახლეები და მიმართულებები.

## მოსამართლეთა და მოქმედ მოხელეთა გადამზადების პროცენტი


სწავლების საჭიროების გამოვლენის მექანიზმზე დაყრდნობით შემუშავებული მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამები შინაარსობრივ ცვლილებებს განიცდის ყოველწლიურად. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ცდილობს, წლის განმავლობაში განსახორციელებელი სასწავლო აქტივობებით დაფაროს სასამართლო სისტემისათვის ყველა მნიშვნელოვანი და საინტერესო თემა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლას კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით გააჩნია სისტემური მიდგომა. ამ მიდგომას ექვემდებარება ისეთი პრიორიტეტული თემები, რომელშიც მოსამართლეთა კორპუსის სრული შემადგენლობის გადამზადება არის გათვალისწინებული. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ:


1. სამოსამართლო ეთიკა;
2. სასამართლო სხდომის მართვა;
3. განაჩენის დასაბუთება (სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტური გამართულობა);
4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

ზემოაღნიშნულ თემებში, გასულ წლებში ჩატარებული ტრენინგების რაოდენობით პრაქტიკულად სრულად გადამზადდა მოსამართლეთა შემადგენლობა, თუმცა აღნიშნულ თემებზე ტრენინგები მიმდინარე – 2017 წლის მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამიც არის გათვალისწინებული.


### გადამზადების პროგრამებში ტრენინგების ჯამური რაოდენობა




### გადამზადების პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობა



### გადამზადების პროგრამის მონაწილეთა გენდერული ბალანსი



**გადამზადების პროგრამების ფარგლებში რეგიონულ სასწავლო ცენტრებში  
ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა**



**ვებპორტალის გამოყენება სასწავლო პროცესში**

2014 წელს USAID/JILEP-ის მხარდაჭერით შემუშავდა სკოლის ვებპორტალი. პორტალის სისტემა გულისხმობს სკოლის სამიზნე ჯგუფის ყველა წარმომადგენლისთვის (იუსტიციის მსმენელი, მოსამართლე, სასამართლოს მოხელე) პირადი ვებგვერდის ქონას, რომლის საშუალებითაც, ისინი თავად ახორციელებენ სასწავლო პროცესების მართვას. ვებპორტალი არა მხოლოდ სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას უწყობს ხელს, არამედ ზრდის პროცესის გამჭვირვალობისა და ობიექტურობის ხარისხს. ვებპორტალი სრულად ამოქმედდა 2015 წელს როგორც იუსტიციის მსმენელების მომზადების, ასევე მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამის ნაწილში. სასამართლო სისტემის წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ვებპორტალისა და ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია 2015 წლის 6 თებერვალს გაიმართა.



იუსტიციის მსმენელთა მე-12 და მე-13 ჯგუფის წევრები გადამზადდნენ ვებპორტალის გამოყენებაში და ჯგუფის წევრებმა სრული დატვირთვით გამოიყენეს პორტალში მათთვის განკუთვნილი ფუნქციებინალი. ვებპორტალის გამოყენებაში გადამზადდა მსმენელთა სასწავლო პროგრამის ჩატარებული თითოეული მასწავლებელი, სტაჟირების კოორდინატორი და სემინარული მუშაობის ხელმძღვანელი.

მსმენელების მიერ პორტალის გამოყენება გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამის თითო-ეულ ეტაპზე. თეორიული კურსის ფარგლებში მსმენელები პორტალის მეშვეობით იღებენ ინფორ-მაციას როგორც სასწავლო კალენდრის, ასევე სასწავლო მასალების შესახებ. გარდა ამისა, იუს-ტიციის მსმენელთა მე-12 ჯგუფის თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდა და სკოლის დამამთავრებელი გამოცდა ჩატარდა ვებპორტალით. მსმენელთა მიერ შესრულებული ნაშრო-მების ატვირთვა და საგამოცდო კომისიის წევრების მხრიდან შესაბამისი შეფასების განხორციე-ლება მოხდა სწორედ პორტალის გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის მსმენელთა სტაჟირების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილიც დაკავშირებულია ვებპორტალთან. მისი მეშვეობით ხორციელდება სტაჟირების კოორდინატო-რების მიერ შესაბამისი მსმენელების ყოველდღიური შეფასება. ასევე, სავალდებულო სტაჟირე-ბის დასასარულს სტაჟირების კოორდინატორების მიერ მსმენელებზე შედგენილი „სავალდებულო სტაჟირების ინდივიდუალური რეკომენდაციის ფორმა“ იტვირთება უშუალოდ ვებპორტალზე. ანალოგიური მიდგომა ხორციელდება სემინარული მუშაობის დროს. კერძოდ, სემინარული მუშა-ობის ხელმძღვანელის მიერ მსმენელებზე შედგენილი „სემინარული მუშაობის აღწერის ფორმა“ ასევე იტვირთება სკოლის ვებპორტალზე.

2015 წელს, მოქმედი მოსამართლეებისა და მოხელეებისათვის, გაიმართა სპეციალური ტრე-ნინგები ვებპორტალის გამოყენებაზე. ჯამში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ჩატარდა 63 ტრენინგი, სადაც პორტალის გამოყენებაში გადამზადდა 790 მომხმარებელი. პორტალის გა-მოყენებაზე მომხმარებელთა ტრენინგების ჩატარებას იუსტიციის უმაღლესი სკოლა 2017 წელსაც აგრძელებს საჭიროების მიხედვით.



2016 წლიდან მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულ ტრენინგებზე მომხმარებელთა დარეგისტრირება ვებპორტალის გამოყენე-ბით ხორციელდება.

## სასწავლო პროგრამების კურიკულურის დაცვის მექანიზმის შემუშავება

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ შემუშავდა და პრაქტიკაში დაინერგა კურიკულურის შემუშავების სტანდარტული მეთოდი.

მეთოდის თანახმად, თავდაპირველად ხორციელდება შესამუშავებელი კურიკულურის თემატი-კის განსაზღვრა, შემდგომში მიმდინარეობს რელევანტური პარტნიორი ორგანიზაციის მოძიება, რომელიც, თავის მხრივ, პროცესში ჩართვის მიზნით, ახდენს უცხოელი ან ადგილობრივი ექსპერ-ტის იდენტიფიცირებას. ამავდროულად, სკოლის მხრიდან ხდება იმ მოსამართლეების/მოხელე-ების იდენტიფიცირება/ნომინირება, რომლებიც ჩაერთვებიან კურიკულურის შემუშავების პრო-ცესში და მომავალში იქნებიან ამ კონკრეტულ თემაზე სკოლის ტრენერები.

მომდევნო ეტაპზე ფორმირდება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პარტნიორი ორგანიზაციის ექსპერტი, სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსამართლები/მოხელეები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს კურიკულუმს შესაბამისი მასალებით, რის შემდეგაც, პარტნიორი ორგანიზაციის ექსპერტი პროცესში ჩართულ ქართველ მოსამართლე/მოხელე ტრენერებს უტარებს ტრენერთა ტრენინგს (ToT) შექმნილ კურიკულუმზე. ტრენერთა ტრენინგის შემდგომ იმართება საპილოტე ტრენინგი.

იმ შემთხვევაში, თუ საპილოტე ტრენინგზე გამოიკვეთა რაიმე სახის ხარვეზი ან დამატებითი საკითხი, სამუშაო ჯგუფი აგრძელებს მუშაობას მის სრულყოფამდე.

### **კურიკულუმის შექმნა**

სტანდარტული მეთოდის გამოყენებით, კურიკულუმები შემუშავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის:

- მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით (USAID/JILEP);
- შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტი (CoE);
- თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები (UNHCR);
- დისკრიმინაციის აკრძალვა-შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები (OSGF/UNION SAPARI);
- საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი (ILO);
- სამოსამართლო ეთიკა (გაღრმავებული მოდული, USAID/PROLOG);
- ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები (ზოგადი კურსი, USAID/PROLOG და CoE);
- სპეციალური სასწავლო კურსი უურნალისტებისთვის სამართლებრივ საკითხებზე (GIZ).

### **მიმღინარეობს მუშაობა შემდეგ კურიკულუმებზე:**

- ადამიანთა წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ლირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა (OHCHR);
- საკორპორაციო/სამენარმეო სამართლის კურსი (USAID/PROLOG და GIZ);
- კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (UNDP/OHCHR).

ხაზვასასმელია, რომ უკვე შემუშავებული კურიკულუმები ინტეგრირებულია იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ განხორციელებულ სასწავლო პროგრამებში. ანალოგიური სისტემური მიღებობა განხორციელდება ამჟამად შემუშავების პროცესში არსებულ კურიკულუმებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ინტენსიური მუშაობა დაიწყო შექმნილი კურიკულუმების/სასწავლო მასალების საავტორო უფლებებზე ზრუნვის მიზნით.

### **ზრდასრულთა განათლების მთოდოლოგიის დაცერვა**

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სისტემური მიღებობა სწავლების უნიფიცირებული მეთოდოლოგიის დანერგვის მიმართულებით, რაც თავის მხრივ გულისხმობს სკოლის ყველა მასწავლებლის (ტრენერის) მომზადებას ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიაში.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვის მიზნით, 2014 წელს, USAID/JILEP მხარდაჭერით, ჩატარდა სპეციალური ტრენინგი, სადაც მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებლებმა.

2016 წელს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით მასწავლებელთა საბჭოსთვის, სპეციალურად შემუშავებული, ორეტაპიანი მოდულით ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (ToT) თემაზე „ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგია“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა უწყვეტ რეჟიმში ზრუნავს მასწავლებელთა (ტრენერთა) კორპუსში სწავლების თანამედროვე მიდგომებისა და სტანდარტების დანერგვაზე. ამის ნათელი მაგალითია 2015 წელს ჩატარებული ტრენინგი „ტესტის შექმნის მეთოდოლოგიაში“. ღონისძიება ჩატარდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, USAID/JILEP-ის მხარდაჭერით. ღონისძიებას ესწრებოდნენ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრები, რომლებმაც აღნიშნული მეთოდოლოგია ეფექტიანად გამოიყენეს საგამოცდო პროცესების ფარგლებში.

## სასამართლოს მოხალეთა სპეციალური სასწავლო კურსი

რეფორმის ფარგლებში, სასამართლო სისტემის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უზრუნველყო „სასამართლოს მოხელეთა სპეციალური სასწავლო კურსის“ შემუშავება და დანერგვა. ნაცვლად „მოსამართლის თანაშემწეობის პრეტენდენტებისთვის“ განკუთვნილი სასწავლო პროგრამისა, „სასამართლოს მოხელეთა სპეციალური სასწავლო კურსი“ განკუთვნილია იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ მოსამართლის თანაშემწედ, სხდომის მდინად ან/და სასამართლოს სხვა მოხელედ მუშაობის სურვილი. კურსის ხანგრძლიობაა 2 თვე.

შემუშავებული სპეციალური სასწავლო კურსის მეშვეობით მსმენელი იმ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იღებს, რაც მას უნდა გააჩნდეს, როგორც სასამართლოს მაღალკვალიფიციურ მოხელეს.

სასწავლო კურსის ფარგლებში, სამართლებრივ და სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტრენინგებს, როგორც წესი, მოქმედი მოსამართლეები ატარებენ, ხოლო არასამართლებრივ საკითხებს შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტები უძლვებიან, მაგ: ადამიანური რესურსების მართვა; სასამართლოს მოხელეთა გამართული მეტყველება – გამართული წერა. კურსის ფარგლებში გათვალისწინებულ თითოეულ საგანზე სწავლა ხორციელდება შემუშავებული სილაბუსების მიხედვით.

სასამართლოს მოხელეთა სპეციალური სასწავლო კურსის დასასრულს მსმენელები აბარებენ ტესტურ გამოცდას. კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მათზე გაიცემა სერტიფიკატი.




იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ 2014-2016 წლებში სასამართლოს მოხელეთა სპეციალური სასწავლო კურსი სამი სხვადასხვა ჯგუფისთვის განხორციელდა. **საერთო ჯამში კურსი გაიარა 107-მა მსმენელმა.** პირველი და მეორე ჯგუფის წევრებიდან სწავლა წარმატებით დაასრულა 46-მა, ხოლო დამატებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2-თვიანი სტაურების გავლაზე სურვილი გამოთქვა და გაიგზავნა 29 მონაწილე.

## საჯარო ლექციები

იურიდიული პროფესიის სტუდენტთა სამართლებრივი ცნობიერების ზრდისა და მათი პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ 2014 წელს საფუძველი ჩაუყარა **საჯარო ლექციების ინიციატივას, რომელსაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით შეუერთდა თბილისსა და რეგიონებში მოქმედი 14 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.**

ინიციატივის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი სკოლა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს სთავაზობს პერიოდულ, უფასო საჯარო ლექციებს სამართლის სფეროს აქტუალურ თემებზე. საჯარო ლექციებს უძლვებიან იუსტიციის უმაღლესი სკოლის პედაგოგები – მოქმედი მოსამართლეები.

ჯამში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ, სტუდენტებისათვის ჩატარდა 5 საჯარო ლექცია, აქედან 2 რეგიონში და 3 თბილისში. საჯარო ლექციები დაეთმო ისეთ აქტუალურ თემებს როგორიცაა: სასამართლო სისტემაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები; ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი; სასამართლოს მენეჯმენტი და საქმისნარმოების ელექტრონული პროგრამა; სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპი/არასრულნლოვანთა მართლმსაჯულება. საჯარო ლექციების ტრანსლირება განხორციელდა პირდაპირ ეთერში სკოლის ვებ და სოციალური გვერდების მეშვეობით.



## სასწავლო აქტივობების სისტემატიზაციული სტატისტიკის პაზა

სისტემური მიღებობა განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ჩატარებულ სასწავლო ღონისძიებებზე დეტალური სტატისტიკის ბაზის შემუშავების კუთხით. 2007 წლიდან დღემდე ჩატარებულ ღონისძიებებზე, ერთიან ბაზაში შეყვანილია ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა:

- ღონისძიების სახელწოდება;
- თემატიკის სფერო;

- ღონისძიების ექსპერტები;
- მხარდამჭერი ორგანიზაცია;
- ღონისძიების განხორციელების ადგილმდებარეობა;
- ღონისძიების სამიზნე ჯგუფი;
- მონაწილეთა სახელი და გვარი;
- მონაწილეთა პოზიცია;
- მოწვეულ და ფაქტობრივად დამსწრე მონაწილეთა რაოდენობა;
- მონაწილეთა სქესი და ა.შ.

აღნიშნული სისტემატიზირებული ინფორმაცია იუსტიციის უმაღლეს სკოლას შესაძლებლობას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში დროულად დაამუშაოს ინფორმაცია როგორც შიდა მოხმარებისთვის, ასევე მიაწოდოს იგი კონკრეტულ მსურველ ადრესატს, თუ ორგანიზაციას. დამუშავებული ზუსტი ინფორმაცია ასევე აისახება უწყების მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სახის ანგარიშებში. აღნიშნული ინფორმაციის მიღების სურვილს ხშირად გამოხატავენ მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები და ასევე მოქმედი და ყოფილი სასამართლოს მოხელეები.

## სტრატეგიული მიზანი 2. ორგანიზაციული განვითარება

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ორგანიზაციული პროცედურებისა და პროცესების აღწერის მიმართულებით. დასრულდა **უწყებაში მიმღინარე ძირითადი პროცესების აღწერა**, რომელიც ეყრდნობა იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. ინდივიდუალური დოკუმენტების სახით, საფეხურებრივად გაიწერა მნიშვნელოვანი პროცესები, რაც გაცილებით უფრო ეფექტურსა და მოქნილს, ასევე პროგნოზირებადს ხდის შესაბამისი მიმართულებით საქმიანობის განხორციელებას.

**აღიწერა და პრაქტიკაში დაინერგა შემდეგი დოკუმენტები:**

1. სასწავლო საჭიროებების გამოვლენის პროცესი;
2. ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგიის დანერგვის პროცესი;
3. კურიკულუმების/სასწავლო პროგრამებისა და ტრენინგმასალების შემუშავება და დახვეწა;
4. სასწავლო ღონისძიებების ორგანიზების სტანდარტი;
5. იუსტიციის მსმენელთა მომზადების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი;
6. იუსტიციის მსმენელთა სასწავლო პროცესზე მოსწრების (დისციპლინის) მონიტორინგის სტანდარტი;
7. მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი;
8. სასამართლოს მოხელეთა სპეციალური სასწავლო კურსის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი;
9. სწავლების ხარისხის შეფასების პროცესი;
10. ბიბლიოთეკის/დოკუმენტაციის ცენტრის მასალების მართვის პროცესი;
11. ახალი თანამშრომლის მიღების პროცედურა;
12. დოკუმენტბრუნვის პროცესი;
13. საბიუჯეტო კალენდარი;
14. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი;
15. შესყიდვების პროცესი.

ზემოაღნიშული დოკუმენტები ინტენსიურად გამოიყენება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიმდინარე საქმიანობის დროს, როგორც ზედა, ასევე საშუალო რგოლის მენეჯმენტისა და თანამშრომლების მიერ. მიდგომა შედეგზე ორიენტირებულს, პროგნოზირებადს და რაც მთავარია, სტანდარტიზირებულს ხდის ორგანიზაციულ პროცედურებს.

## ადამიანური რესურსების გასაძლებლობების გაძლიერება

განხორციელებული რეფორმის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებას. ამ მიმართულებით განხორციელდა მთელი რიგი საქმიანობები, კერძოდ:

- საქართველოს შრომის ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, დამტკიცდა სკოლის ახალი შინაგანანწესი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს შრომითი და თანმდევი ურთიერთობების პროცესს სკოლაში;
- დადგინდა სკოლის თანამშრომლების ფუნქციური აღწერილობები (სამუშაო აღწერილობები), რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილი გახდა;
- დაინერგა თანამშრომელთა ადაპტაციის პროგრამა, რომელიც მოიცავს სამსახურებრივ გარემოში სკოლის ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების გეგმას, რაც, ხელს უწყობს თანამშრომელს ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში;
- მოწესრიგდა სკოლის საკადრო საქმეები და სამოსამართლო კანდიდატების (იუსტიციის მსმენელების) პირადი საქმეები. მათი წარმოება/შენახვა მიმდინარეობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

**სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში, სკოლის თანამშრომელთა კვალიფიკირების გეგმის შემუშავების მიზნით, ჩატარდა თანამშრომელთა და მენეჯერთა ინდივიდუალური ინტერვიუები სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა თანამშრომელთა გადამზადების გეგმა. საჭიროების მიხედვით, თანამშრომელთა გარკვეულმა ნაწილმა ტრენინგები გაიარა შემდეგ თემებზე: „ბიზნესკომუნიკაცია, სტრესის მართვა, დროის ეფექტური მართვა და სერვის პლუსი“; „მართლწერა/ოფიციალური დოკუმენტების შედგენა“; „არქივაციის სისტემა“; „დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი“.**


ასევე შემუშავდა თანამშრომელთა შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს შეფასებას სამი მიმართულებით: 1. ფუნქცია-მოვალეობების (სამუშაო აღწერილობა) მიხედვით შესრულებული სამუშაოს შეფასება; 2. პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება და 3. დისციპლინის შეფასება. პირველი საცდელი შეფასება 2015 წლის დეკემბერში განხორციელდა.

**შემუშავდა თანამშრომელთა მოტივაციის სქემა, რომლის მიზანია, შექმნას დადებითი განწყობა ნაყოფიერი შრომისადმი, ორგანიზაციის მოთხოვნებისა და მიზნების გათვალისწინებით.** თანამშრომელთა მოტივაციის სქემა ხელს უწყობს თითოეული თანამშრომლის ქცევის ხელსაყრელი ტიპის ჩამოყალიბებას და შემდგომ, მის შენარჩუნებას, რათა პერსონალმა თავისი სამუშაოსათვის პასუხისმგებლობა მთლიანად აიღოს საკუთარ თავზე და მუდმივად იყოს ჩართული მართვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მოტივაციის სქემაში დეტალურად გაიწერა, სკოლაში ფაქტობრივად მოქმედი, თანამშრომელთა მამოტივირებელი ფაქტორები. მოტივაციის სქემას დაემატა სკოლის თანამშრომელთა მოტივაციის ასამაღლებელი სამომავლო ღონისძიებები. თითოეული მოტივატორი განივრცო შემდეგნაირად: ჩამოყალიბდა მამოტივირებელი ფაქტორები, განიმარტა განხორციელების გზები და მიეთითა მოსალოდნელი შედეგები. მამოტივირებელი ფაქტორების განხორციელებისათვის შემუშავდა პროცედურები.

## ელექტრონული დოკუმენტრუნვის პროცესი

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უზრუნველყო უწყების შიგნით დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ ფორმატზე გადაყვანა. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამა, რის საფუძველზეც, საქმისნარმოება უწყებაში ხორციელდება ელექტრონულად. პროგრამის დანერგვით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გამარტივდა და დაჩქარდა დოკუმენტბრუნვის პროცესი. გაუმჯობესდა საქმისნარმოების ხარისხი, დაიზოგა დრო და ადამიანური რესურსი. პროგრამის ეფექტიანი მუშაობის მიზნით გადამზადდა უწყების თითოეული თანამშრომელი.

საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით შემუშავდა და დამტკიცდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმეთა ნომენკლატურა, რომელიც შედგენილია იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმისნარმოებაში საქმეების ფორმირებისა და აღრიცხვის წესის უზრუნველსაყოფად. საქმეთა ნომენკლატურით განისაზღვრა საქმეებში შესრულებული ცალკეული დოკუმენტების დაჯგუფება, საქმეთა სისტემატიზაცია, ინდექსაცია და შენახვის ვადები. იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმეთა ნომენკლატურის საფუძველზე, მიმდინარეობს მუშაობა სკოლის არქივში არსებული დოკუმენტების მოწესრიგების მიზნით.



## საერთაშორისო თანამშრომლობის გაელირება

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით. 2013 წლის სექტემბრიდან ინიცირებული მოლაპარაკებების შედეგად, 2014 წელს იუსტიციის უმაღლესი სკოლა გახდა სამოსამართლო სწავლების საერთაშორისო ორგანიზაციის (IOJT) წევრი, სამოსამართლო სწავლების ევროპული ქსელის (EJTN) დამკვირვებელი წევრი და აგრეთვე, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტთან (CEELI Institute).

- **IOJT** – სამოსამართლო სწავლების საერთაშორისო ორგანიზაცია 2002 წელს დაარსდა და მისი მიზანია სამოსამართლო სწავლების ინსტიტუტების საქმიანობის მხარდაჭერითა და მათი გაძლიერებით ხელი შეუწყოს მსოფლიოში კანონის უზენაესობის განმტკიცებას. ამ მიზანს სამოსამართლო სწავლების საერთაშორისო ორგანიზაცია სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებისა და გაცვლითი პროგრამების ორგანიზებით ახორციელებს, რაც შესაძლებლობას აძლევს სამოსამართლო სწავლების ინსტიტუტების წარმომადგენლებს, მოსამართლეებსა და ტრენერებს, იმსჯელონ სამოსამართლო სწავლებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე.
- **EJTN** – ამ ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრებს წარმოადგენენ ევროკავშირის ქვეყნების სამოსამართლო სწავლების ცენტრები. დამკვირვებლის სტატუსით წევრობა გენე-

რალურ ასამბლეას შეუძლია მიანიჭოს მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირთან განევრიანების პროცესში იმყოფებიან. საქართველოს შემთხვევაში მოხდა გამონაკლისის დაშვება და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ არ აწარმოებს ევროკავშირთან განევრიანების პროცესს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა EJTN-ის გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო დამკვირვებელ წევრად. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ამ წარმატების შედეგად, როგორც მოქმედი, ისე მომავალი მოსამართლეები და სასამართლოს მოხელეები შეძლებენ, მონაწილეობა მიიღონ EJTN-ის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებში – მათ შორის, ევროპის ქვეყნებში ჩატარებულ სემინარებსა და გაცვლით პროგრამებში. სკოლის მენეჯმენტი კონსულტაციებს აწარმოებს EJTN-ის გენერალურ მდივანთან და ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, რათა ევროკავშირის მხრიდან გაიზარდოს დამკვირვებელ წევრთა სტატუსის მქონე უწყებების დაფინანსება და მხარდაჭერა.

- **CEELI Institute** – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტის უმთავრესი მიზანია გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისთვის ხელშეწყობა ისე-თი სისტემის დანერგვაში, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო სისტემაში მომუშავე კადრების პროფესიონალიზმის ზრდას. აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ 2014 წელს განახორციელა მოსამართლეთა საერთაშორისო სემინარი კორუფციისთან ბრძოლის თემატიკაზე.



### პარტნიორ მრგანიზაციებითან თანამშრომლობის გაძლიერება

საანგარიშო პერიოდში პარტნიორ მრგანიზაციებით თანამშრომლობის გაგრძელება და კიდევ უფრო გაღრმავება იუსტიციის უმაღლესი სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა. იუსტიციის უმაღლესი სკოლა დაარსების დღიდან მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა დონორ და საერთაშორისო მრგანიზაციებთან, რაც გამოიხატება იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციურ გაძლიერებასა და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებაში. ახალი მენეჯმენტის ფარგლებში სისტემური მიდგომები განხორციელდა პარტნიორ მრგანიზაციებით თანამშრომლობის კუთხით. თითოეულ მრგანიზაციასთან თანამშრომლობა მიმდინარეობს მხარეთა შეთანხმებით გამოვლენილ-პრიორიტეტულ თემებზე.

სკოლის მხარდაჭერი საერთაშორისო მრგანიზაციების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ნაყოფიერად ითანამშრომლა შემდეგ პარტნიორ მრგანიზაციებთან:

- ევროპის საბჭო (CoE);
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ);
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP);
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF);
- გაეროს ქალთა მრგანიზაცია (UN Women);
- გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის მომისართვის (OHCHR);

- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR);
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO);
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM);
- ფონდი ლია საზოგადოება – საქართველო (OSGF);
- აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტები: „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და სამართლებრივი გაძლიერება (JILEP)“/„კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)“;
- აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი (DoJ);
- ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP);
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი – „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (რომელსაც ახორციელებდა ავსტრიული ორგანიზაცია „Human Dynamics-ი“).

2014 წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების განვითარება“, რომელიც დაფინანსდა ნიდერლანდების სამეცნისაგარეო ვაჭრობისა და განვითარების თანამშრომლობის სამინისტროს მიერ.

პროექტი, რომელიც წარმატებით დასრულდა, შემდეგ სამ კომპონენტს მოიცავდა:

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის საჭიროებების შეფასება და უწყების სტრატეგიული განვითარების 2014-2018 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობისთვის სამოსამართლო სწავლების ჰოლანდიური მოდელის გაცნობა;
- სასამართლო სისტემაში მენეჯერულ პოზიციაზე მომუშავე პირთათვის შედეგზე ორიენტირებულ მენეჯმენტზე კურიკულუმის შემუშავება და დანერგვა.

პროექტის ფარგლებში შემუშავებული, იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2014-2018 წწ) უწყების მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს.

2016 წლის 1-ლ ნოემბერს ამოქმედდა იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ევროპის საბჭოს (CoE) ახალი, ერთობლივი პროექტი „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება“, რომელიც 2014 წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის, „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების განვითარება“, შედეგებზე დაყრდნობით არის შემუშავებული.

პროექტი იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული მიზნების შესრულებაზეა ორიენტირებული და ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1. მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო კურიკულუმების შემუშავება/დახვენას, თანამედროვე მეთოდოლოგიებსა და სტანდარტებზე დაფუძნებული ტრენინგების განხორციელებას;
2. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინსტიტუციურ გაძლიერებას.

პროექტი 18 თვეს მოიცავს და ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, ითვალისწინებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორიცაა: ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება, სასწავლო კურიკულუმების, სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევის შემუშავება, ასევე ბიბლიოთეკის რესურსის გაძლიერება.



ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისა და სკოლის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უზრუნველყო ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი საჯარო სამსახურების დამმობილების პროგრამის (TWINNING) პროექტის შემუშავება, რომელიც დამტკიცდა ევროკომისის მიერ. საანგარიშო პერიოდში პროექტმა ასევე გაიარა კონკურსი პარტნიორი ქვეყნის შერჩევის მიზნით.



## თანამშრომლობა სევა ქვეყნის სამოსამართლო სხავლების ინსტიტუტისთვის

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მენეჯმენტის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარმატებული ქვეყნების სამოსამართლო სწავლების ინსტიტუტებთან თანამშრომლობის დამყარებასა და გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით, **განახორციელა სასწავლო ვიზიტები შემდეგი ქვეყნების სამოსამართლო სწავლების ცენტრებში:**

N	წელი	ქვეყანა	მხარდამჭერი
1	2014	ავსტრიის რესპუბლიკა	ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი – „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (რომელსაც ახორციელებდა ავსტრიული ორგანიზაცია „Human Dynamics-ი“)
2	2014	ნიდერლანდების სამეფო	პროექტი: „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების განვითარება“, ევროპის საბჭო – CoE
3	2014	საფრანგეთის რესპუბლიკა	პროექტი: „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების განვითარება“, ევროპის საბჭო – CoE
4	2014	ამერიკის შეერთებული შტატები	აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამა (CLDP)
5	2015	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება – GIZ

აღნიშნულ ვიზიტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სკოლის ინსტიტუციური განვითარების კუთხით, რადგან ვიზიტების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა სამოსამართლო სწავლების სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა, სიღრმისეული ანალიზი და ქართულ რეალობაში მისი დანერგვა. ვიზიტების შედეგად მიღებული გამოცდილება, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მენეჯმენტის მიერ ეფექტურად დაინერგა განხორციელებული რეფორმის ფარგლებში.



რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებში აღსანიშნავია იუსტიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლობა **აზერბაიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის და თურქეთის იუსტიციის აკადემიებთან**. აღნიშნული თანამშრომლობა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების

(GIZ) მხარდაჭერით ხორციელდება. 2014 წელს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ქ. ბაქოში რეგიონულ კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნა თემას „მოსამართლეთა ტრენინგი, როგორც მართლმსაჯულების ეფექტიანობის გაზრდის ინსტრუმენტი“. აღნიშნულ ღონისძიებაზე სკოლის მიერ გაკეთებული მოხსენება საუკეთესო პრაქტიკად იქნა განხილული. აღნიშნული რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებში უკვე ორი ერთობლივი ღონისძიება განხორციელდა ქართველ, აზერბაიჯანელ და თურქ მოსამართლეთა მონაწილეობით როგორც ქ. ბაქოში, ასევე ქ. ანკარაში.

2015 წელს გაღრმავდა ურთიერთობა უკრაინის მოსამართლეთა ეროვნულ სკოლასთან. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ქ. კიევში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე „სამოსამართლო სწავლების ეროვნული სტანდარტები: ადამიანის უფლებების დაცვა“. ღონისძიება მიეძღვნა უკრაინის მოსამართლეთა ეროვნული სკოლის დაარსებიდან ხუთი წლის იუბილეს. აღნიშნულ ღონისძიებაზე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი იუსტიციის უმაღლეს სკოლასა და უკრაინის მოსამართლეთა ეროვნულ სკოლას შორის. მემორანდუმის თანახმად, მხარეებმა მჭიდრო თანამშრომლობასა და ერთობლივი ღონისძიების განხორციელებაზე მზაობა გამოხატეს.



## თანამშრომლობა აღვიღობის მოგანიზაციებთან

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფასა და იურიდიული პროფესიის განვითარებას. ამის მაგალითს წარმოადგენს იუსტიციის უმაღლეს სკოლასა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის თანამშრომლობის ის ახალი ფორმატი, რომელიც საანგარიშო პერიოდში შედგა.

2014 წლის 26 დეკემბერს, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი სასწავლო ღონისძიებების განხორციელებაზე, რომლის უმთავრესი მიზანია ადვოკატთა და მოსამართლეთა პროფესიული დახმარებულება.

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უკვე განახორციელეს ორი ერთობლივი ტრენინგი თემაზე „მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართლში – რელაციის მეთოდი“. ღონისძიებაზე იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლე ექსპერტებმა, თემასთან დაკავშირდით, მათი სიღრმისეული გამოცდილება გაუზიარეს ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლებს. ღონისძიებები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ იყო მხარდაჭერილი.

2016 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი იუსტიციის უმაღლეს სკოლასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“ შორის. მემორანდუმის მხარეები, რომლებიც აღიარებენ ინტელექტუალური საკუთრების

სამართლის მიმართულებით სასამართლო პრაქტიკის სრულყოფა-განვითარების მნიშვნელობას, აგრეთვე, თითოეული მხარის როლს ამ კუთხით, შეთანხმდნენ ინტელექტუალური სამართლის სხვადასხვა აქტუალურ თემებზე/საკითხებზე ერთობლივი სასწავლო (ლექციები, სემინარები, ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები) ღონისძიებების განხორციელების შესახებ. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – „საქპატენტი“ რამდენიმე ერთობლივი, სასწავლო ღონისძიება უკვე განხორციელეს მოსამართლეთათვის.

2016 წელს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა იუსტიციის უმაღლეს სკოლასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შორის. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე ერთობლივი სასწავლო ღონისძიებების განხორციელების, სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და შემდგომი განვითარება/პოპულარიზაციის შესახებ. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, მხარეთა მიერ დაგეგმილი ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში გაფორმდა, რომლის მიზანს პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე კურიკულუმის შემუშავება წარმოადგენდა.



### პირლიოთავის ნიგნადი ფონდის გაზრდა

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი საქმიანობა განხორციელდა სკოლის იურიდიული პიპლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის მომხმარებლები არიან მოსამართლეები, სასამართლო სისტემის სხვა მოხელეები და სამოსამართლო კანდიდატები (იუსტიციის მსმენელები).

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდით მხარდაჭერილმა პროექტმა, „სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება“, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდის თვალსაზრისით. პროექტის ფარგლებში სკოლის ბიბლიოთეკისთვის შეძენილი იქნა ქართული გამომცემლების მიერ გამოცემული იურიდიული სახელმძღვანელოები, რომელშიც შედის სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, საკონსტიტუციო სამართლის 67 წიგნი. ასევე შეძენილია 50 ცალი Oxford University Press, Cambridge University press, Routledge-ის მიერ გამოცემული უახლესი იურიდიული ლიტერატურა ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში. სულ პროექტის ფარგლებში სკოლისთვის შეძენილია ქართული და უცხოური გამომცემლობების 117 წიგნი.

2015 წელს მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგა ბიბლიოთეკის ელექტრონიზაციის კუთხით. მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებისათვის ელექტრონულ ფორმატში დამზადდა 78 ელექტრონული წიგნი სამართლის თითქმის ყველა სფეროდან, აქედან 30 წიგნი პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ხელშეწყობით შეძენილი წიგნის, ხოლო 48, ბიბლიოთეკის ძველი წიგნადი ფონდიდან.

2015 წელს, USAID/JILEP-ის მხარდაჭერით, ვებპორტალთან ერთად შეიქმნა ახალი ვებგვერდი, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს **სკოლის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი**. ამჟამად კატალოგში ინტეგრირებულია 1463 ჩანაწერი.

აღსანიშნავია, რომ ვებპორტალის მომხმარებლებს გააჩნიათ წიგნადი ფონდის დიდი ნაწილის ელექტრონულ ვერსიებზე წვდომა.

The screenshots show the same user interface for two different books. Both feature a header with a search bar, user profile, and geo-location options. Below the header is a large book thumbnail with the title and authors. To the right of the thumbnail is a grid of four small images representing different sections of the catalog. The left side of each screenshot displays a table of book details, including:

- JACOBS, WHITE & OVEY: THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS**
- BERNADETTE RAPLEY, ELIZABETH WICKS, CLARE OVEY**
- OXFORD**
- JACOBS, WHITE & OVEY: The European Convention on Human Rights**
- Bernadette Rapley, Elizabeth Wicks, and Clare Ovey**
- ISBN/ISSN**: 978-0-19-96690-3
- აღმართის წელი**: 2014
- გამოცემის ადგილი**: United Kingdom
- გამოცემის გამოცემისასი**: Oxford University Press
- აღმართის მატერიალური სახელმწიფო სამსახური**: სამსახურის მიერთვის მიზანისთვის

The right side of each screenshot shows a calendar view with dates from 5 to 30. Below the calendar are three small images: a person working at a desk, a stack of books, and a person reading a book.

## საქართველოს პრეზიდენტის სარჩევო ფონდის მხარდაჭერა

2015 წელს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ პრეზიდენტის სარჩევო ფონდით მხარდაჭერილი პროექტი – „**სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება**“ – განახორციელა. პროექტი მიზნად ისახავდა მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდას, რაც მიიღწევა სამოსამართლო კანდიდატების და სასამართლოს მოქმედი თანამშრომლებისთვის ეფექტური სწავლების უზრუნველყოფით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ოთხი ამოცანა:

1. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში შეიქმნა **იმიტირებული სასამართლო პროცესის სხდომა-თა დარბაზი**. შედეგად გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ იუსტიციის მსმენელების პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდეს ისეთ გარემოში, რომელიც მაქსიმალურად მიუახლოვდება მათ მომავალ საქმიანობას;
2. გამდიდრდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის იურიდიული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, განსაკუთრებით ისეთი ლიტერატურით, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების სფეროსთან. ამასთან, პროექტის საშუალებით, განხორციელდა შეძნილი ლიტერატურის დიდი ნაწილის ელექტრონიზაცია. შესაბამისად, იუსტიციის მსმენელებს და

- სასამართლოს თანამშრომლებს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, შეუძლიათ გაეცნონ თანამედროვე ადგილობრივ და უცხოურ ლიტერატურას, მათ შორის ელექტრონულ ფორმატში, ონლაინბიბლიოთეკისა და ვებპორტალის გამოყენებით;
3. სასემინარო დარბაზები აღიჭურვა ვიდეოკონფერენციის სისტემით, რაც სკოლას შესაძლებლობას აძლევს, დისტანციურად ჩაატაროს სემინარები უცხოელი და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით;
  4. დაინერგა საჯარო ლექციების ონლაინტრანსლირების სისტემა, რაც ხელს უწყობს საზოგადოებაში სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხების ცოდნისა და სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებას.



პროექტის პრეზენტაცია 2015 წლის 1-ლ მაისს შედგა. მიღწეული შედეგები დამსწრე საზოგადოებას იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორმა გააცნო. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

## ინფრასტრუქტურის განვითარება

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი საქმიანობები განხორციელდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

- გარემონტდა უწყების სათავო ოფისის მთლიანი ფასადი. პირველ სართულზე მოეწყო შეხვედრების და თანამშრომელთა სამუშაო ოთახები, რომლებიც სრულად აღიჭურვა საოფისე ავეჯითა და ტექნიკური საშუალებებით;


- წყალტუბოს რეგიონულ სასწავლო ცენტრში, სადაც ინტენსიურად ტარდება სასწავლო ღონისძიებები, ჩატარდა ფასადის, პირველი და მეორე სართულის და საკონფერენციო დარბაზის რემონტი. ცენტრი ასევე აღიჭურვა თანამედროვე ავეჯით;
- წყალტუბოსა და ბათუმის რეგიონული სასწავლო ცენტრები აღიჭურვა ინტერნეტწვდომის წერტილებით. ცენტრებში განთავსდა ტრენინგების ორგანიზებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკა.

აღსანიშნავია, რომ როგორც წყალტუბოს, ასევე ბათუმის რეგიონული სასწავლო ცენტრები ინტენსიურად არის დატვირთული. სასწავლო ღონისძიებები ტარდება როგორც ადგილზე ექსპერტების მონაწილეობით, ასევე დისტანციურად, ვიდეოკონფერენციის სისტემის გამოყენებით.




2014 წლის 15 მაისს გაიხსნა „მართლმასაჯულების სახლი“, რომელიც აშენდა სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის“ სახსრებით და ძალისხმევით. აღნიშნული შენობა გადაეცა იუსტიციის უმაღლეს სკოლას სასწავლო აქტივობების განსახორციელებლად. შენობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, აღჭურვილია როგორც ტექნიკური, ასევე საოფისე საშუალებებით. აღნიშნული შენობა ამჟამად წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სათავო ოფისს. შენობა ინტენსიურად არის დატვირთული, მასში ხორციელდება ძირითადი სასწავლო აქტივობები.

- შეიცვალა ხარისხობრივი მიდგომები სასწავლო ღონისძიებების მონაწილეების კვებითა და სასტუმრო მომსახურებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.



**დიაგრამის სახით ასევე ნარმოდგენელია იუსტიციის უაღლესი სკოლის  
საბიუჯეტო ასიგნირების მაჩვენებლები 2013-2016 წლებში**

**საბიუჯეტო ასიგნებები 2013-2016 წ.წ.**



#### **ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება**

კომპლექსური საქმიანობები ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ:

- დაინსტალირდა ახალი ინტერნეტქსელი და უსადენო ინტერნეტწვდომის წერტილები;
- შეძენილი და მოწყობილი იქნა სკოლის სერვერების ინფრასტრუქტურა;
- გაიმართა სერვერული ინფრასტრუქტურის პროგრამული ნაწილი;
- მოწესრიგდა სატელეფონო ინფრასტრუქტურა და დამონტაჟდა IP სატელეფონო კავშირი.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღება, რის შედეგადაც სკოლის თითოეული თანამშრომელი უზრუნველყოფილია ახალი კომპიუტერული ტექნიკით. სკოლის ბიბლიოთეკა აღიჭურვა საოფისე ტექნიკით. აქვე ხაზგასასმელია, რომ უწყებაში არსებული საოფისე ტექნიკა სრულად პასუხობს სკოლაში დანერგილი ელექტრონული პროგრამების გამართულად ფუნქციონირებისათვის სავალდებულო-ტექნიკურ მოთხოვნებს.

უწყების სათავო ოფისში მოქმედი ციფრული ოთახი, რომელიც აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტკავშირით და შესაბამისი საოფისე ავეჯით. აღნიშნული ოთახი განკუთვნილია სამოსამართლო კანდიდატების (იუსტიციის მსმენელების) სასწავლო და საგამოცდო პროცესების თანამედროვე სტანდარტებით განხორციელებისთვის. ციფრული ოთახი უკვე ექსპლუატაციაშია და საშუალებას იძლევა, სასწავლო აქტივობები ერთდროულად განხორციელდეს 20 მსმენელისთვის.

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ იუსტიციის მსმენელების სასწავლო პროცესისთვის შეიძინა 20 ერთეული პერსონალური კომპიუტერი.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში დაინერგა შიდა კომუნიკატორის ელექტრონული სისტემა, რომელიც იძლევა ნაკლები დანახარჯებით, მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლებთან ეფექტუალური კომუნიკაციის განხორცელების საშუალებას.


## სტრატეგიული მიზანი 3. შიდა და გარე კოორდინაციის განვითარება

რეფორმის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სკოლის რეპუტაციის მშენებლობა წარმოადგენდა, რომლის მიღწევა, მაღალი ხარისხის სწავლების შეთავაზების გარდა, ემყარება შიდა და გარე ეფექტიან კომუნიკაციას. აღნიშნული მიმართულება, თავის მხრივ, მოიცავს სკოლის საკომუნიკაციო შესაძლებლობების გაძლიერებას და/ასევე საჯარობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

### ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოებისა და დაკავშირებული მხარეებისთვის

**2015 წელს ამოქმედდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ახალი ვებგვერდი,** რომელიც USAID/JILEP-ის მხარდაჭერით შემუშავდა. ექსპლუატაციაში შევიდა მისი როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი გვერდები. ვებგვერდი ინფორმაციულად დატვირთულია და მაქსიმალურად ორიენტირებული მომხმარებლების ინტერესებზე. ვებგვერდი ასევე ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხვის შესაძლებლობას.

ვებ და სოციალური გვერდები მუდმივ რეჟიმში განახლებადია და უზრუნველყოფს მომხმარებელთა დროულ და სრულყოფილ ინფორმირებას. უწყების ვებგვერდი ორივე ენაზე ფუნქციონირებს. მასზე განთავსებული ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს გარე და შიდა აუდიტორიის ინტერესს.



## საზოგადოების ნინაშვ ანგარიშვალდებულება

რეფორმის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზოგადოებისა და დაკავშირებული მხარეების ინფორმირებულობას იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ოთხჯერ გამართა წლის შემაჯამებელი შეხვედრები. კერძოდ, 2013, 2014, 2015 და 2016 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა როგორც პარტნიორ ორგანიზაციებს, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ღონისძიებებზე უწყების მიერ მიღწეულ შედეგებთან ერთად დამსწრე საზოგადოებას მიეწოდებოდა დეტალური ინფორმაცია სამომავლო გეგმების შესახებ.



განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მედიასთან ურთიერთობის საკითხს. 2014 და 2015 წლების დასასრულს, გეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრები ჟურნალისტებთან. შეხვედრები სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებს დაეთმო, მათ შორის ისეთს, როგორიცაა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიმდინარე რეფორმები. სწორედ აღნიშნულ სამუშაო შეხვედრებზე მედიასექტორის წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ, სპეციალურად მათთვის შემუშავებულ სასწავლო ღონისძიებებში სამართლებრივ საკითხებზე. იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ გაითვალისწინა რა მედიის წარმომადგენელთა სურვილი, 2015 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით შეიმუშავა „სპეციალური სასწავლო კურსი ჟურნალისტებისთვის სამართლებრივ საკითხებზე“. კურსის მიზანია საქართველოში ჟურნალისტების სამართლებრივი ცოდნის ამაღლება. კურსის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და გერმანელმა მოსამართლე ექსპერტებმა.



კურსი განხორციელდა 2016 წელს ორ ეტაპად და მის ფარგლებში დაიფარა შემდეგი მიმართულებები: ადამიანის უფლებები, კონსტიტუციური სამართალი, სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. აღსანიშნავია, რომ კურსის საკითხები უშუალოდ მედიის წარმომადგენლებთან განხორციელებული კვლევის შედეგად იდენტიფიცირდა. კურსის დასრულების შემდგომ მონაწილეებს გადაეცათ სპეციალური სერტიფიკატები.

## შიდა და გარე აუდიტორიასთან ეფექტიანი საკომუნიკაციო არხების იდენტიფიცირება

2015 წელს დაიწყო მუშაობა იუსტიციის უმაღლესი სკოლის საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებაზე. საწყის ეტაპზე გარე და შიდა აუდიტორიასთან ეფექტიანი საკომუნიკაციო არხების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევის დაწყებამდე შემუშავდა გამოკითხვაში მონაწილე პირებთან დასაგზავნი კომპლექსური კითხვარი, განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები და განხორციელდა ჯგუფების წევრთა სახელობითი ჩაშლა.

დამატებით, ჩატარდა თვისებრივი კვლევა ორ სამიზნე ჯგუფთან: იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-12 ჯგუფის მსმენელებთან და სკოლის მასწავლებლებთან. ფოკუსჯგუფზე მიღებული იქნა დამატებითი ინფორმაცია კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდა ანგარიში „იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებული მხარეების დამოკიდებულების შეფასება სკოლის საქმიანობის მიმართ“.

კვლევითი ნაწილის დასრულების შემდგომ, 2015 წლის ბოლოს, მუშაობა განხორციელდა სკოლის საკომუნიკაციო სტრატეგიის საბოლოო ვერსიაზე, რომელიც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დამტკიცდა. **საკომუნიკაციო სტრატეგიის** მთავარი მიზანია იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეპუტაციის მშენებლობა, რომლის მიღწევა მაღალი ხარისხის სწავლების შეთავაზების გარდა, ემყარება შიდა და გარე ეფექტიან კომუნიკაციას.

ამჟამად იუსტიციის უმაღლესი სკოლა უკვე პრაქტიკაში იყენებს სკოლის საკომუნიკაციო სტრატეგიას.

2016 წელს შემუშავდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის **კორპორატიული სტილის სახელმძღვანელო (ბრენდ ბუქი)**. დოკუმენტის მიზანია იუსტიციის უმაღლესი სკოლის ბრენდის იდენტურობის შექმნა და შენარჩუნება, სტილის ცნობადობის გაზრდა. კორპორატიული სტილის სახელმძღვანელო ამჟამად ინტენსიურად ინერგება.


## სამომავლო გაგმები/პრიორიტეტული მიმართულებები

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია ნათლად ასახავს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 2013-2016 წლებში განხორციელებული რეფორმის შედეგებს. უწყების შიგნით, თითოეული მიმართულების ფარგლებში, სილრმისეულ ანალიზზე დამყარებულმა ცვლილებებმა გარანტირებულად უზრუნველყო ისეთი ძლიერი ინსტიტუციის მიღება, როგორსაც დღეს იუსტიციის უმაღლესი სკოლა წარმოადგენს. **წარმოებული პროცესები ეფუძნებოდა უწყების ოთხნლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით არის შემუშავებული და მოიცავს 2014-2018 წლებს.** მიღწეული შედეგები თვალსაჩინო და ხელშესახებია.

მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, იუსტიციის უმაღლესი სკოლის **სამომავლო გეგმები** კვლავ დაფუძნებულია შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებზე:

- სკოლის სტრატეგიული გეგმის შესრულების გაგრძელება;
- სკოლის ინსტიტუციური გაძლიერება, მათ შორის თანამშრომელთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება;

- მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ფარგლებში, მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებზე კურიკულუმების და სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა;
- იუსტიციის მსმენელთა სწავლების ვადის გაზრდაზე მუშაობა;
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების იმპლემენტაცია.



# იუსტიციის უმაღლესი სკოლა

## იუსტიციის უმაღლესი სკოლა

**მისამართი:** ნოდარ ბოხუას ქუჩა 19. 0131, თბილისი, საქართველო

**ტელ.:** (+995 32) 238 11 61

**ვებ-გვერდი:** [www.hsoj.ge](http://www.hsoj.ge)

**Fb:** [Facebook.com/hsoj.ge/](https://Facebook.com/hsoj.ge/)

**ელ-ფოსტა:** [info@hsoj.ge](mailto:info@hsoj.ge)